

შპს ევრა+ ს 2022 წლის

ფინანსური ანგარიშგება თანდართული ახსნა-განმარტებითი შენიშვნები

1. ძირითადი საქმიანობა და ზოგადი ინფორმაცია

წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მოიცავს შპს „ევრა+“ (შემდგომში „კომპანია“) ფინანსურ ინფორმაციას. შპს „ევრა+“ არის საქართველოში რეგისტრირებული კომპანია, შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება, რომელიც დარეგისტრირდა 2009 წლის 21 დეკემბერს შემდეგ მისამართზე: ქ.თბილისი, დიღმის მასივი, მე-6 კვარტალი, 21 კორპუსი, ბინა 39.

მისი ძირითადი საქმიანობაა: შპს ჰაიდელბერგცემენტის ნაწარმი პროდუქციის (ცემენტის) რეალიზაცია.

კომპანიის დამფუძნებლები არიან:

01006009961, ბესიკ გავაშელი – 50%;

01006009960, ზვიად გავაშელი – 50%

დირექტორი - 01006009961, ბესიკ გავაშელი

2. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა

2.1 ანგარიშგების მომზადების საფუძველი

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მიერ გამოცემული მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის შესაბამისად, რომელიც ძალაშია 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით. იგი წარმოდგენილია საქართველოს ფულად ერთეულში (ლარი).

ფინანსური ანგარიშგება მოიცავს სრული შემოსავლის, ფინანსური მდგომარეობის, კაპიტალში ცვლილებების, ფულადი ნაკადების ანგარიშგებებს და განმარტებით შენიშვნებს.

კომპანიის საანგარიშგებო პერიოდი მოიცავს კალენდარულ წელს 2022 წლის 1 იანვრიდან 2022 წლის 31 დეკემბრამდე.

2.2. შეფასების საფუძველი

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული შეფასების მეთოდით, თუ ქვემოთ მოცემულ სააღრიცხვო პოლიტიკაში სხვა რამ არ არის ნახსენები.

2.3. მარაგები

საინვენტარო მარაგების შეფასება ხდება თვითღირებულებასა და ნეტო სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით. საინვენტარო მარაგების ღირებულება განისაზღვრება ასაშუალო შეწონილი ღირებულების საფუძველზე და მოიცავს მარაგების შემენაზე, ადგილზე მიტანაზე და არსებულ მდგომარეობამდე მიყვანაზე გაწეულ ხარჯებს. მზა საქონლისა და დაუმთავრებელი სამუშაოს თვითღირებულება მოიცავს ზედნადები ხარჯების შესაბამის წილს ნორმალური საოპერაციო მოცულობის საფუძველზე, მაგრამ სესხების ხარჯების გამოკლებით.

წმინდა სარეალიზაციო ღირებულება არის გაყიდვის სავარაუდო ფასი ჩვეულებრივი ბიზნესსაქმიანობის პირობებში, სამუშაოების დასრულების ხარჯებისა და გაყიდვისთვის აუცილებელი სავარაუდო ხარჯთაღრიცხვის გამოკლებით. მოძველებული ან ნელი მოძრაობის მარაგების უზრუნველყოფა არ ხდება.

2.4 ძირითადი საშუალებები

თავდაპირველი აღიარების დროს, ძირითადი საშუალებები აღირიცხება თვითღირებულებით, რაც მოიცავს შესყიდვის ფასს და ნებისმიერ ხარჯს, რომელიც პირდაპირ დაკავშირებულია აქტივის დანიშნულების ადგილამდე მიტანასა და სამუშაო მდგომარეობაში მოყვანასთან.

თავდაპირველი აღიარების შემდეგ ძირითადი საშუალებების აღრიცხვა ხდება თვითღირებულებიდან დაგროვილი ცვეთის გამოკლებით.

ცვეთის გამოთვლა წარმოებს საქართველოს საგადასახადო კოდექსით განსაზღვრული საამორტიზაციო ანარიცხების შესაბამისად.

ძირითადი საშუალების აღიარება წყდება მისი გაყიდვის შემთხვევაში, ან როდესაც აღარ არის მოსალოდნელი მომავალში ეკონომიკური სარგებლის მიღება მისი გამოყენებით. ძირითადი საშუალების გაყიდვის, ან ხმარებიდან ამოღების შედეგად წარმოშობილი ნებისმიერი მოგება ან ზარალი განისაზღვრება, როგორც სხვაობა გაყიდვიდან მიღებულ შემოსავლებსა და აქტივის ნარჩენ საბალანსო ღირებულებას შორის და აღიარდება მოგება-ზარალში.

2.5 ფინანსური ინსტრუმენტები

კომპანია ფინანსურ აქტივს ან ვალდებულებას თავდაპირველად აღიარებს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში მაშინ და მხოლოდ მაშინ, როდესაც იგი ხდება ინსტრუმენტის სახელშეკრულებო შეთანხმების მონაწილე. თავდაპირველი აღიარებისას

კომპანია ყველა ფინანსურ აქტივსა და ვალდებულებას აღიარებს სამართლიანი ღირებულებით, რაც განისაზღვრება გარიგების ფასით.

კომპანია ფინანსური აქტივის აღიარებას წყვეტს მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც: ფინანსური აქტივიდან მისაღები ფულადი ნაკადების მიღების სახელშეკრულებო უფლებებს ვადა გასდის, ან როდესაც ფინანსური აქტივი და მასთან დაკავშირებული რისკები გადადის სხვა პირზე.

აღიარების შემდგომი შეფასების მიზნებისთვის ფინანსური აქტივები დაყოფილია შემდეგ კატეგორიებად:

- ❖ სესხები და სხვა მოთხოვნები
- ❖ სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

კომპანია ყველა ფინანსურ აქტივს და ვალდებულებას აღიარებს ყოველდღიური აღრიცხვის საფუძველზე. ყველა შემოსავალი და ხარჯი დაკავშირებული ფინანსურ აქტივებთან აღიარებულია ფინანსური საქმიანობის ანგარიშგებაში შესაბამის პუნქტად - „ფინანსური ხარჯი“ ან „ფინანსური შემოსავალი“.

სესხები და სხვა მოთხოვნები

სესხები და სხვა მოთხოვნები წარმოადგენს არაწარმოებულ ფინანსურ აქტივებს ფიქსირებული ან განსაზღვრული გადახდებით, რომლებიც არ არიან კოტირებული აქტიურ ბაზარზე, აღნიშნული ფინანსური აქტივები მოიცავს სავაჭრო და სხვა მოთხოვნებს, ფულს და ფულის ექვივალენტებს.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

მიმდინარე სავაჭრო და სხვა მოთხოვნები თავდაპირველად აღიარებულია სამართლიანი ღირებულებით. სავაჭრო და სხვა მოთხოვნების თავდაპირველად აღიარებული ღირებულება ჩვეულებრივ არ იცვლება ხოლმე, ვინაიდან მოთხოვნა ზუსტადაა ცნობილი და ანგარიშსწორება მოსალოდნელია მიკვლე ვადაში.

ფული და ფულის ექვივალენტები

კომპანიის ფული და ფულის ექვივალენტები მოიცავს ფულს საბანკო ანგარიშზე, ფულს საღარიშში, ფულს ხელზე და ფულს გზაში.

ფინანსური ვალდებულებების კლასიფიცირება და შეფასება

ფინანსური ვალდებულებები მოიცავს სესხებს, სავაჭრო და სხვა ვალდებულებებს.

სასესხო ვალდებულებები

სასესხო ვალდებულებების პირველადი აღიარება ხდება რეალური ღირებულებით. საპროცენტო ხარჯები აისახება პერიოდის სრული შემოსავლის ანგარიშგებაში, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ეს დანახარჯები მიეკუთვნება და პირდაპირ დაკავშირებულია აქტივის შექმნასთან, შეძენასთან ან წარმოებასთან. ამ შემთხვევაში ეს დანახარჯები კაპიტალიზირდება განსაკუთრებული აქტივის საბალანსო ღირებულებაში.

სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

მიმდინარე სავაჭრო და სხვა ვალდებულებები თავდაპირველად აღიარებულია სამართლიანი ღირებულებით. სავაჭრო და სხვა ვალდებულებების თავდაპირველად აღიარებული ღირებულება ჩვეულებრივ არ იცვლება ხოლმე, ვინაიდან მოთხოვნა ზუსტადაა ცნობილი და ანგარიშსწორება მოსალოდნელია მიკვლე ვადაში.

2.6 კაპიტალი

საწესდებო კაპიტალი განსაზღვრულია კომპანიის წესდებით. ცვლილებას კომპანიის წესდებაში (მათ შორის ცვლილებას საწესდებო კაპიტალში, მფლობელებში და ა.შ.) ხორცილედება კომპანიის პარტნიორების მიერ.

აკუმულირებული მოგება-ზარალი მოიცავს მიმდინარე და წინა პერიოდების აკუმულირებულ მოგება-ზარალს.

დივიდენდები აღირიცხება როგორც ვალდებულებები იმ პერიოდისათვის, რომლებშიც ის გამოცხადდა.

2.7 მოგების გადასახადი

მოგების გადასახადი არის ვალდებულება პერიოდის დასაბეგრ მოგებაზე, რომელიც გადაანგარიშებულია ანგარიშგების თარიღისთვის არსებული საგადასახადო განაკვეთით და ითვალისწინებს წინა წლებთან დაკავშირებული საგადასახადო ვალდებულებების ყველა შესაძლო შესწორებას.

2.8 შემოსავლის აღიარება

შემოსავალი აღიარდება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებით. შემოსავალში არ ჩაირთვება ფასდათმობები.

საქონლის გაყიდვის შედეგად მიღებული შემოსავლის აღიარება ხდება მაშინ, როდესაც დაკმაყოფილებული იქნება ყველა ქვემოთ ჩამოთვლილი პირობა:

- ❖ საწარმო მყიდველს გადასცემს საქონლის საკუთრებასთან დაკავშირებულ ყველა მნიშვნელოვან რისკს და სარგებელს;
- ❖ საწარმო არ ინარჩუნებს უწყვეტ მენეჯერულ მონაწილეობას იმ დონით, რომელიც, ჩვეულებრივ, საკუთრების უფლებასთან ასოცირდება და არც გაყიდულ საქონელზე ეფექტურ კონტროლს არ ახორციელებს;
- ❖ შესაძლებელია ამონაგების თანხის საიმედოდ განსაზღვრა;
- ❖ მოსალოდნელია, რომ მოცემული ოპერაციიდან საწარმო მიიღებს ეკონომიკურ სარგებელს; და
- ❖ შესაძლებელია მოცემულ ოპერაციასთან დაკავშირებული უკვე გაწეული ან მომავალ პერიოდში გასაწევი დანახარჯების საიმედოდ შეფასება.

მომსახურების გაწევის შედეგების საიმედოდ განსაზღვრა და მასთან დაკავშირებული შემოსავლის აღიარება ხდება საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, მომსახურების ხელშეკრულების შესრულების სტადიის მიხედვით. მომსახურების მიწოდების შედეგების საიმედოდ შეფასება მაშინ არის შესაძლებელი, თუ დაკმაყოფილებულია შემდეგი პირობები:

- ❖ შემოსავლი თანხის განსაზღვრა შესაძლებელია საიმედოდ;
- ❖ მოცემული ოპერაციიდან მოსალოდნელია ეკონომიკური სარგებლის შემოსვლა საწარმოში;
- ❖ შესაძლებელია მომსახურების მიწოდების ხელშეკრულების შესრულების სტადიის საიმედოდ შეფასება საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს;
- ❖ შესაძლებელია მომსახურებაზე უკვე გაწეული და ხელშეკრულების მთლიანად შესრულებისათვის საჭირო დანახარჯების საიმედოდ შეფასება.

1. 2022 წლის შემოსავალი

შემოსავალი საქონლის რეალიზაციიდან	30 068 456
შემოსავალი იჯარიდან და მომსახურებიდან	132 515
სხვა შემოსავალი	5379
სულ	30 206 350

2. 2022 წლის სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

სავაჭრო დებიტორები	2 960 216
--------------------	-----------

დებიტორულ დავალიანებას პროცენტი არ ერიცხება.

3. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები 2022 წლის 31 დეკემბერს

სავაჭრო ვალდებულება	492 754
---------------------	---------

სავაჭრო ვალდებულებები წარმოადგენს ჩვეულებრივი პირობებით აღებულ ვალდებულებას და პროცენტი არ ერიცხება. არსებობს საბანკო გარანტიები.

4. საქმიანობასთან დაკავშირებული ხარჯები 2022 წლის:

ცემენტის შეძენა და რეალიზაცია (დასაწყობების გარეშე) 28 791 230

ცემენტის ტრანსპორტირება 374

სულ 28 791 605

საერთო და ადმინისტრაციული ხარჯი

2022 წლის

ხელფასები 377 690

კომუნიკაციის ხარჯი 5 223

სოციალური დანარიცხები 3812

ქონების- მიწის გადასახადი 7911

რეალიზებული ძ/ს 27765

დაზღვევა 6158

სხვა ხარჯი 3337

ბანკის მოსახურეობის 1954

საგარანტიოს საკომისიო 23958

ავტო/ხარჯი 44532

ცვეთა 105859

საწვავის ხარჯი 91640

სულ 699 839

სულ 2021 წ ხარჯები 29 491 444

5. მნიშვნელოვანი შეფასებები

შეფასებებისა და გადაწყვეტილებების გადახედვა ხდება მუდმივად, გამოცდილებასა და სხვა ფაქტორებზე დაყრდნობით, რომელიც ითვალისწინებს მომავალ პერიოდში მოსალოდნელ მოვლენებსაც. მომავალ პერიოდში მიღებული გამოცდილება შესაძლოა განსხვავებული იყოს ამ შეფასებებისა და დაშვებებისაგან. მიღებული ბუღალტრული შედეგი შესაძლოა არ დაემთხვეს რეალურ შედეგს.

ძირითადი საშუალებების სასიცოცხლო ციკლი და ვადები

მენეჯმენტმა შეაფასა ძირითადი საშუალებების სასიცოცხლო ციკლის ხანგრძლივობა და დარწმუნებულია, რომ შეფასებები მნიშვნელოვნად არ განსხვავდება ამ აქტივების ეკონომიკური სასიცოცხლო ხანგრძლივობისაგან.

მიწა	768 418
მანქანა-დანადგარები	576 377
სულ 2022 წლის 31 დეკემბერს	1 344 795

6. 2022 წლის 31 დეკემბერს მოგების გაანგარიშება

მიმდინარე წლის მოგება	714 906
მოგების გადასახადის სამომავლო ხარჯი / 15%/	-107 236
გაუნაწილებელი მოგება წლის დასაწყისში	3109799
გაცემული დივიდენდი წლის განმავლობაში	183400
გაუნაწილებელი მოგება წლის ბოლოს	3 534 069

ფინანსური მდგომარეობა 2022 წ

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	408 465
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	2 960 216
მარაგები (საწვავი)	977

ძირითადი საშუალებები 1 344 795

სულ აქტივები 4 714 453

ვალდებულებები

სავაჭრო ვალდებულებები 492754

საგადასახადო ვალდებულებები (სამომავლო) 648515

სხვა ვალდებულებები 38915

სულ ვალდებულებები 1 180 184

საკუთარი კაპიტალი

სულ საკუთარი კაპიტალი 3534269

სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები 4 714 453

მპს ევრა+ს 2021-2022 წლების მოგება-ზარალის შესადარისი ბალანსი		
პერიოდი	31/12/2022	31/12/2021
სულ შემოსავალი , მ. შ.	30206350	32772516
საქონლის გაყიდვიდან	30068456	32694794
მომსახურების გაწევიდან	132515	73946
სხვა	5379	3776
საწყისი მარაგები	0	0
საერთო შემოსავალი	30206350	32772516
დასაქმებულთა ანაზღაურება	-377690	-385113
ცვეთა / ამორტიზაციის ხარჯი	-105859	-112321
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი	-29007895	-31550178
სულ საოპერაციო ხარჯები	-29491444	-32047612
საოპერაციო მოგება	714906	724904
მოგების გადასახადის ხარჯი	-107236	-108735
საანგარიშგებო პერიოდის მოგება / ზარალი	607670	616169
საკუთარი კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისში	3109999	2751483
განაწილება მესაკუთრეებზე (მათ შორის დივიდენდი)	-183400	-82000
სხვა ცვლილებები გაუნაწილებელ მოგებაში	0	-175653
საკუთარი კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს	3534269	3109999

ფინანსური მდგომარეობის შესადარისი ინფორმაცია 2021-2022 წ

ფინანსური მდგომარეობა	31/12/2022	31/12/2021
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	408465	500144
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	2960216	2479246
მარაგები	977	878
ძირითადი საშუალებები	1344795	1335120
სულ აქტივები	4714453	4315388
ვალდებულებები		
საიჯარო ვალდებულება	0	0
სავაჭრო ვალდებულებები	492754	472672
ანარიცხები	0	77413
ვალდებულებები თანამშრომელთა მიმართ	0	0
საგადასახადო ვალდებულებები	648515	655304
სხვა ვალდებულებები	38915	0
სულ ვალდებულებები	1180184	1205389
საკუთარი კაპიტალი		
სააქციო კაპიტალი (შპს-ს შემთხვევაში 'კაპიტალი', კოოპერატივის	200	200
საემისიო შემოსავალი	0	0
გამოსყიდული საკუთარი აქციები	0	0
გაუნაწილებელი მოგება / (დაგროვილი ზარალი)	2004014	3109799
გადაფასების რეზერვი	0	0
საკუთარი კაპიტალის სხვა კომპონენტები	1530055	0
სულ საკუთარი კაპიტალი	3534269	3109999
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები	4714453	4315388
სულ მოკლევადიანი აქტივები	1	1
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები	0	0

შპს ევრა+ს 2021-2022 წლების ფინანსური შესადარისი ინფორმაცია

პერიოდი	2022 წელი	2021 წელი
შემოსავალი საქონლის რეალიზაციიდან	30068456	32694794
შემოსავალი მომსახურებიდან	132515	73946
სხვა შემოსავალი	5379	3776
სულ შემოსავალი	30206350	32772516
გაყიდული/შეძენილი საქონელი	28791231	31290377
გრანსპორტირებისა და შენახვის ხარჯები	374	100047
შრომის ანაზღაურება	377690	385113
სოციალური დანარიცხები	3812	3721
სხვა ხარჯი	2789	423
კომუნიკაციის ხარჯები	5223	2654
დაზღვევა	6158	7220
POMPA - ს რემონტი	17181	5435
კომპიუტერის ხარჯები	0	430
საკონსულტაციო ხარჯები	0	1000
ცვეთა და ამორტიზაცია	105859	112321
სხვა საგადასახადო ხარჯი	7911	8558
სხვა საერთო ხარჯი	27765	20014
საკანცელარიო ხარჯი	0	376
ბანკის მომსახ-ბა	1954	607
ა/მანქანის ხარჯი	27352	32971
საწვავის ხარჯი	91639	50361
გარანტიის საკომისიო	23958	25654
საღარიბო აპარატის მომსახ-ბა	548	330
სულ ხარჯი	29491444	32047612
მოგება-ზარალი	714906	724904
გადასახდელი მოგების გადასახადი	107236	108735
გაუნაწილებელი მოგება	607670	616169

შპს ევრა+ ს

დირექტორი:

მთავარი ბუღალტერი:



ბესიკ გავაშელი



მანანა სანიკიძე

